კვირა, 27 ნოემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 48

ხელის „ჭუჭყი“

პატარა ვანო! მამიკო, რატომ ამბობენ შენზე: დავითს ხელის ჭუჭყი უყვარსო? მშვენიერი თეთრი ხელები კი გაქვს.

„კურატები“

(ქიზიყში მოგზაურობიდან).

არა მარტო იმისთვის აიკრუეს ქიზიყელებმა გული ექიმბაშთა და საზოგადოთ წამლების ძლევამოსილობაზე, რომ აღგილმრივ აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებს ბ-ნი მაისურაძე პატრონობდა. ეგ თავისთავად სამწუხარო ფაქტი იყო, მაგრამ ქიზიყელებმა მაინც ჩინებულათ იციან, რომ კარგი მკითხავი გომართველსაც არაფერით არ ჩამოუვარდება. მათის აზრით, უმჯობესია რომელიმე მკითხავს შეუფრინონ ორი-სამი დედალი, ან დაუკლა ერთი ყოჩი, ვიდრე ექიმის რეცეპტი მუდამ დღე აფთიაქისკენ არბენინო და ავათმყოფი ათასგვარი პარაშოკებით ჰბერო.

აი ამიტომაც, გახდება ვინმე ავათ თუ არა, მყისვე შეჰპირდებიან ანაგის მთავარ-ანგელოზს კურატათ შედგომას, თუ კი

(უმთავრესათ ქ-ნი თებრო თავისი გუნდით) გაჰკურნებს მას სენისაგან. მოტყუება აქ ყოველდ შეუძლებელია! მე დარწმუნებული ვარ, ეს სავანე რომ იმერეთში იყოს იმერლები თავს შერცხვენდენ. ისინი ავათმყოფობის დროს შეჰპირდებოდენ კურატათ აღკვეთას, მაგრამ როცა განიკურნებოდენ, მოატყუებდენ ხატსაცა და მკითხავებსაც. ქიზიყელები თავისი სიტყვის ხალხნი არიან: თუ ავათმყოფი განიკურნა იგი უკლებლივ ასრულებს დანაპირებს: ცხვარი აღუთქვა, ცხვარს მიჰგვრის; ქათმის შეფრენა აღუთქვა, ქათამს აუფრენს; „კურატათ“ შედგომა შეჰპირდა, კურატათ შესდგება.

ამგვარათ, განკურნებული არსება (უმთავრესათ ბავშვები 10 -18 წლამდე) მიდის ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში საცხოვრებლათ. რჩება იქ თანახმად ღთქმისა ზოგი ერთ თვეს, ზოგი ორს, სამს და მეტსაც. ისინი საღამოობით ლოცულობენ ქნი თებროსა და სხვა ქადაგთა ხელმძღვანელობით, ხოლო დილიდან ვიდრე დაღამებამდე მუშაობენ სხვა და სხვა საქმეებზე.

მე ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში შვიდიოდ „კურატი“ ვნახე. ცხადია მათი რიცხვი ბევრათ სჭარბობს ჩემ მიერ ნახულს, ვინაიდან იმ დროს სხვები არ იყვენ ოთახში. ერთი მათგანი, სოფ. ანაგიდან შემოწერილი, კარგა მოზრდილი ბავშვი იყო, ასე 15 [illegible] ხველ-ხველი, მაღალ-მაღალი. მე გამოვკითხე მას ზოგი რამ და პასუხით ძლიერ კმაყოფილი დავრჩი:

შაქროს ცოლება ჰქონია. მთელი ზაფხული ავათ ყოფილა. მშობლები (უფრო ურწმუნო, რაიც იშვიათია ქიზიყში) მარტო (და თებროს) ძალიერებას არ დაჰყრდნობიან და ბავშვისთვის რაღაც მწარე აბები (თეთრი ყოფილა მარილსავით) უყლაპვიათ. შაქროც გამოკეთებულა ხატის ძალით და თებროს შუამდგომლობით. ცოტა ჯანზე რომ მოსულა მყისვე აუსრულებიათ დაპირება და შაქროც კურატათ გამოუგზავნიათ. აქ, ეკლესიის გალავანში შაქროს (მგონი ასე ეძახიან ანაგელ კურატს) დღითი ამუშავებენ, სადამოთი ატუნავებენ, ივანანას ამღერებენ და ძინებენ ცივს იატაკზე.

— კიდევ ორი თვეა დამრჩა აქ მუშაობაო,— მითხრა შაქრომ.

უნდა ითქვას, რომ ანაგელები მაინც უფრო ეშმაკები არიან. შაქროსთვის მშობლებს აქაც გამოუკანებიათ ის მწარე აბები და ატყუებენ ხატს. ეგ ამბავი ქ-ნმა თებრომ ალბათ არ იცის და არც არის საჭირო იცოდეს. მართალია კურატი შაქრო ანაგელი თავს მაინც სუსტათ გრძნობს, მაგრამ ხალხში თებროს პრესტიჟის დასაცავათ საჭიროა მწარე აბების შესახებ არაფერი გავამხილოთ.

იმ დროს, როცა მე შევიპარე ამ წმინდა სადგურში, ოქტომბრის თვე ღლეოდა. 8 გიორგობისთვეს კი ამ ეკლესიის დღესასწაულია და

უფროსს ელოდენ. კურატებიც თურმე განსაკურნებულის აღფრთოვანებით ელოდენ, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულს, აგრეთვე დიდებულ სტუმარს. მთელი დღეობით რიყის გზაზე მუშაობდენ და ლოდებისაგან სწმენდდენ მას.

მით უმეტეს, თუ ამ სასარგებლო შრომას უსასყიდლოთ აწარმოებენ კურატები.

არა თუ დაშავდება, პირიქით, ცოდვილი*) კუ-

*) ცოდვით, რასკვირველია, ავათ ყოფნა უნდა ჩითვალოს.

რატები თავისს შეცოდებას მოინანიებენ, ხოლო გზა გაუფუჭებენდება. იმათ შესახებ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ:

„და გზა ქვიანი თქვენგან წმენდილი,
კურატნო ჩვენნო, მინც დარჩება,
რომ თქვენს შემდგომად მლოცველთა ჩვენთა
ხრაგუნი ქვებზე გაუადვილდეს
და შეუპოვრად ურემი თვისი
შავი ხვეის პირ ჩამოუქროლდეს“.

ამგვარათ, კურატი ეწოდება ბავშვს, რომელიც შეწირულია ხატისადმი რაიმე მიზნით, სცხოვრობს ეკლესიის გალავანში, იკვებება უმთავრესათ მლოცველთა ულუფით, ხოლო მუშაობს „ეკლესიისა და მამულის, სასარგებლოთ“.

ამით გავათავებდი დღევანდელ ჩემს თქვენთან მუსაიფს, რომ მართლა მთელ ქიზიყში მარტო მკითხავები და კურატები იყვენ შესანიშნავნი. არა, ეს ეკრე არ არის. ბრმა უნდა იყოს მოგზაური, ქიზიყი მოიაროს და ადგილობრივი ცხოვრების ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ვერ შენიშნოს.

მე ვირების შესახებ მოგახსენებთ.

ჩემის აზრით იმათ შესახებ უფრო სამართლიანი იქნებოდა ცალკე წერილის დაწერა, მაგრამ დღეს დღეობით ეს შეუძლებლათ მიგვაჩნია.

ჩვენის დაკვირვებით ვირისათვის ხელ-მიუწვდომელია მხოლოდ მცირედენი საოჯახო საქმე. მაგალითად:

ა) ვირს არ შეუძლია დუქანში ვაჭრობა, ვინაიდან აქ საჭიროა ხალხის მოტყუება.

ბ) არ შეუძლია ფონდში პურის გამოცხობა, რადგან შესაძლებელია ბალნი შეეუჯოს.

გ) დასასრულ, არ შეუძლია ტოლუმბაშობა, ვინაიდან ვირი ერთად ერთი ცხოველია ქიზიყისა, რომელიც ღვინოს არა სვამს

მაშინ, როცა მსუნაგი ღორი ცხვირ-ჩარგულია არაყის ნახად ჭაჭაში, რათა „სპირიდონის“ ნაშთი ამოსწუწნოს, ბ-ნი ვირი იქვე შორი-ახლო სდგას და ღრმა ფიქრებს მისცემია, ალბათ ღრუტუნათა სიმსუნაგისა და ღორმუცელობის შესახებ.

აი დაახლოებით ის რამოდენიმე საზოგადო და საოჯახო მოღვაწეობა, რომელიც ვირს არა შემთხვევაში არ ეხერხება. დანარჩენ მოსაქმეობაში ადმინისტრატიულიდან დაწყებული [illegible] სამეურნეომდე უმთავრეს ეპანს [illegible] ეწევიან უხმოთ, უდრტვინველათ, დაუზარელათ. აუწერელი და აუნაზღაურებელია ის ღვაწლი, რომელიც ამ ცხოველთ მიუძღვით ქიზიყის წინაშე.

მაგრამ სხვას ვის დაჰფასებია ჩვენს ქვეყანაში ღვაწლი (გარდა მკითხავებისა), რომ მათ დაუფასონ?! როგორი უდიერი მოპყრობა, რამდენი უსამართლო საყვედური, რაოდენი პირადი შეურაცხყოფა და დამცირება, რამდენი უზრდელი მოპყრობა (ხშირია დედის გინებაც!) რამდენი ცემა-ტყეპა, მეტადრე მოზარდი თაობისაგან, მაგრამ ისინი მაინც ენერგიულათ ეწევიან თავისს სასარგებლო შრომას. რშვიათად გამოვა მოკალაქე, რომელიც მათ მოსარჩლეობას გაუწევს ხოლმე.

აი, თუნდ ბ-ნი რეზო, ქ. სიღნაღში პირველი კაცია. მას ანბარია ქალაქის ბულვარი, სივრცით დაახლოებით 10000 ოთხკუთხი გოჯისა. ამ ბულვარში ვირებს შესვლა აკრძალული აქვთ (გარდა თვით გამგისა). ჩემს იქ ყოფნაში ერთი დაქანცული ვირი შემოვიდა ჰაერის ჩასასუნთქად, თუ გზის შესამოკლებლათ. ვირს უკან მოხუცი ქალი მოჰყვებოდა.

რეზო გააფთრებით ეკვეთა ვირს. გრიგალისებური ცემა აუტეხა და საბრალო ცხოველი უკუაქცია. მართალია ვირი არაფერით დანაშაული არ იყო, ამას ჩინებულათ ხედავდა დეკანოზი მამა ბეგიაშვილიც, მაგრამ არაფერ ხმა არ ამოიღო. და განა ეს ერთი მაგალითია?! ასეთი ალმაშფოთებელი მაგალითებით სავსეა ქიზიყის დაბა-სოფელთა ცხოვრება*).

ეშმაკი.

---

*) გუდლის ფანგქალთ ვაწეობდი ზემოადნიშნულს წერილს, მაგ ეშეტეგ ამ ადგილს, სადაც აეტორი წერილისა ხაზს უსვამს ქალაქის მამოძრავებელ ძალს, და ფეიქრობდი: ჰა ან ვნდა ატეკვის რაშეკ ქიზიყის ბუშეარაზის—ვ. ტეკეაძის შესსვა-შეოქა, ან ვნდა, მაგრამ ბ-მა ეშმაკმა სრულიად ეეურადღებით დასტოეკ ავი. შესაძლებელია აეტორი ტალკე წერილის მიძღვნას ანარგადეს, მაგრამ ეკ ამას ვნდა ვერ გაეგებ, ეს თებრო ვაქარეულის საქმეა.

ამასთანავე საეჭოოა მამა ბეგიაშვილმა დაამოწმოს ზემოადნიშნული ფაქტი ბ-ნ რეზოს საქეიელის შესახებ.

ასოთ-ამფეკნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიათურა

ვის შერჩენია ერთი დრო?
ვინ როდის კაცსრბოს,
„ერთი წყა და სხვა მოგ
ტურფასა სამდნრბოს“!
„ხვსულთ გამეფდ ხარხარი“,
დრო დადგა შესზარები,
ეშმაკის სამოქალაქოდ
ადრე გაქედ კარები.
გულსა სული ჩაბერე
გადაეცალე მტვერია,
(დასწყევლოს ღმერთმა, „შაგ-
ქვ,“
სულ დაუკარგ ფერია!)

—

„ფოდრაჩიკისა“ ხელობა
ადგილი შესთვისია,
ეშეების კაძალტეკვებით
ადრე კაიესოს ქესია.
ქარხნის ბატრონიც კახდება
თუ ნათელი აქვს დედა,
შორს წასვლა არ მოგვიხდება
ბაკალითს გვაძლევს იგია...
უწინ ტუნელში ძვრებოდა,
ქვასაც ირჩევდა ხშირად,
ახლა ქარხანას ბატრონობს...
(ეშეა გამდადრდეს ძვირად!)
საშეურაშვილი, —ლეკაკვ,
ეკვანიშვილთა გვარია,
სვანიშვილ-ბარათაშვილი
ქართველ მრეწველთა ჯარია,
ერთად არიან, მდერიან:

ბრალიანი და უბრალო
ეველა ფერხულში ჩაბა,
წეალი მდვრიეა... ბადეშიც
მრავალი თევზი კაკბა!
ქვეეანის ორგული შვილები
მეშეებზე ბექნას კადიან,
სამშობლოს კეთილდღეობას
ნუ თუ ეს ზრახვა სწადიან?!
ჩარჩი, ვაკარი, მექარხნე,
მეშეებსა ჭკრეკვს ეველაო...
„არსით ხმა, არსით ძახილი“
არც ეშმაკისკან შეველაო.

მალაქია.

დეკეშეგი

—

სამტრედია. ვინ არ იცის, თუ რა წარჩინება მისცეს თფილისის დეპოს უფროსს, ბ-ნ ილინსკის?— ის გადმოიყვანეს დაბა სამტრედიაში იმავე თანამდებობაზე, ბ-ნი ილინსკი, როგორც მისი მოღვაწეობა გვიჩვენებს, ძლიერ შორსმჭვრეტელი მოხელეა. ვინაიდან მოსალოდნელია მეშა მამაკაცთა სიძვირე, ის ახლავე შეუდგა თადარიგს და დეპოს კანტორა-ში დიაცთა მუდმივი სვლა და საქმეზე ლაპარაკი აქვს გამართული. სასიამოვნო უფრო ის არის, რომ დიაცთა საკითხის გადაწყვეტაში მას მარჯვენა ხელობას, (მარცხენა სძულთ) უწევს ჩვენი თანამემამულე ილია ნიკურაძე და წოგიერთი სხვებიც.

—

ვინაიდან დღევანდელმა ომმა ნათლად დაამტკიცა ავტომობილთა დიდი მნიშვნელობა, ამიტომ სამტრედიის დეპოში ყველას შეუძლია შეაკეთებიოს თავისი ავტომობილი და რომ შეკეთებული კარგათ იქნება, ამის დასამტკიცებლათ დეპოს უფროსი ეწი-

ნარეს ყოველისა თავისიანებს ჩასხამს შიგა და გაასეირნებს.

—

აგრეთვე სამკითხველოსაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ბ-ნი გამგე. თითონაც ხშირად მიდის, სხვებიც მიჰყავს, (უმთავრესად ქალები) ჩამოუშვებს ფარდას ჩაიკეტება თორმე შიგ მათთან და გატაცებით მეცადინეობს.

—

ერთი სიტყვით ბ-ნი ვ. ა. კალაიარაევის „მაღარიჩები“ თითქმის გადაავიწყა ზოგიერთა თავდადებულ მუშებს და თუ ასე გაგრძელდა, წახდა მაშინ ილია ნიკიფორაძის საქმე. ყოველ შემთხვევაში მომავალი გვიჩვენებს საქმე როგორ წავა.

აგვად ასაღები, ღუალ ღასაღები ამგავი

(ოზურგეთისთვის)

გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მე 250 ნომერში ოზურგეთელებმა სასიამოვნო ამბავი ამოიკითხეს: „ქ. ოზურგეთში შემდგარა „ოზურგეთის თავისუფალი (?) ეცეტლის მჭრობელი საზოგადოება, აუარჩევიათ გამგეობა, რაზმის უფროსი, მისი ამხანაგი, ეციტ-გაუზის გამგე და სხვა. წერილი ასე თავდება: „კარგი იქნება საზოგადოება ადრე დაიწყებდეს მოქმედებას და მით...“

ხსენებულ საზოგადოებას ყავს წევრები: პასიური და აქტიური. პასიური იხდის ერთ მანეთს, აქტიური ათ შაურს. წევრთა შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ როცა „თავისუფალი ეცეტლი“ რომელიმე თავისუფლება მოკლებულ მოქალაქის სახლს ნებსით, თუ უნებლიეთ გაუჩნდება“, წინასწარ განზრახვით თუ ფათერაკათ, ესე იგი გასაგები ენით რომ მოგახსენოთ: „დასტრახული“ იწვის, თუ „დაუსტრახველი“, მაშინ პასიური წევრი რაკი საწევრო ფულს ათი შაურით მეტს იხდის, ეცეტლის „ჩაწერილ სეირობს, ერთობა. აქტიური „ეცეტლი“ ... ...

ხლის მქრობელი თავისუფალი საზოგადოება“ განა არ იცის მან, სად ვცხოვრობთ, განა არ იცის, რომ საზოგადოება თავისუფალი არ შეიძლებოდა...

...კრება კმაყოფილდება.

კრების პასიური წევრი. მე ბატონებო სულ სხვა მაინტერესებს. გაზეთში პირდაპირ არის სურვილი გამოთქმული: „სასარგებლოა ჩვენი საზოგადოება ადრე დაიწყებდეს მოქმედებასო“. მეც სწორეთ საზოგადოების მოქმედება მაინტერესებს. მე პირდაპირ ვეკითხები გამგეობას: როდის იწყებთ მოქმედებას? საწევრო ფული გადაეიხადეთ, ცეცხლის საქრობი მანქანა „დავაპაჩინკეთ“ ხარჯი ვნახეთ, ყველაფერი მზათ არის, თქვენ კი მოქმედებას არ იწყებთ.*) მოვითხოვთ საქმეს შეუდგეთ და მით დამტკიცოთ, რომ თქვენც შეგიძლიათ ცეცხლის ჩაქრობა და თუ ეს არ შეგიძლიათ უნდა გადადგეთ. (ტაში პასიებში)

მეორე პასიური წევრი. პირველი ორატორის სიტყვებს ვეთანხმები და ჩემის მხრით დავსძენ, რომ საჭიროა მოქმედების დაწყება, თუ ცეცხლი თავისით არ გაჩნდა, გააჩინონ; როგორ შეიძლება საქმის ასე გაჭიანურება, რაკი საზოგადოება დაარსდა, მისი მოქმედების ნაყოფიც უნდა დავინახოთ.

მეორე წევრი ბ. ანანო ხოხლენკო. (ნახევრათ გაგურულებული რუსი) ბათონებო! მე მოკლეთ ვიტყვი, აქტიური ჩილენები დიდი მინავათი პოკა არ არიან, მე თვითონ კუბოებს აკეთებ, მარა კოველთვინ ჭი ვერ ვკიდი, თუ არე კაცი მოქთა რა ვქნა, ისე პრავლენიაც... დეიცობა პატარი და მიასხამენ წკალს... (ტაში მარჯვნით, გამგეობის წევრებს გამოცოცხლება ეტყობა.)

თავმჯდომარე. ბატონებო, ჩემის აზრით გაზეთის კორესპოდენტს ჩვენთვის სრული უსაქმობა უნდა ესურვება, მაგრამ თუ მაინც და მაინც ღმერთი გაწყრებოდა და „ჯვარი აქანაი“ ცეცხლი გაჩნდებოდა, მაშინ უნდა ესურვა ჩვენთვის ცეცხლთან მედგარი იერიშის მიტანა და სახლის დაწვამდი ჩაქრობა, ამიტომ გირჩევთ კორესპოდენტს წყეველისათვის პროტესტი განუცხადოთ. (მდიანს თავჯდომარის სიტყვა ოქმში არ შეაქვს)

პასიურები. (საერთო ჩოჩქოლში) ტყუილია, თავს ვერ იმართლებენ აქტიურები საბოლოოთ დაწვავი სახლი ბევრია...

ავეკია.

გზის მუშა*)

თუმცაღა მუშა საბრალო
ყოველგან დაჩაგრულია,
მას არ სწყალობდა წარსული,
არ სწყალობს ამწყო კრულია.
ასი მტერი ჰყავს თუ ერთი
შემბრალე გამკითხავი.
და ყოველ ფეხის გადგმაზე
სძვრება ცხრა კეცი ტყავია.
მაინც გზის მუშის სატანჯველს
ერთიც ვერ შეედარება...
მუხთალმა ბედმა არგუნა
მას მძიმე ტვირთის ტარება.
მუქთა ხორცები ერთმანეთს
მის მხრებზე შესკუპებიან,
იმისი ჯაფა-შრომითა
მხოლოდ ესენი სტკბებიან.
ექს მოხელენი, შუალერნი,
ავარა ქუჩის მტკეპნელნი,
სხვისა დარბევა ჩაგვრაში
ბედნიერების მძებნელნი,
ყველა გამხდარა დღეს მისი
აღა და მბრძანებელია
იმისი ზურგით სათრევი
და მისი მწვალებელია.

კვანი

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის შეკვ ეშენო, რომ ამ საქმის ინსტრუქტორათ საზოგადოების მოუწვეია ბ-ნი ჯამუდეთ ქარცოვაქ.

*) ეს დეტალი უნდა კაპეკოდოდ წარწერათ „ეშმაკის მათრახის“ მე 45 ნომრის ბერეულ კვერდზე მოთავსებულ კარიკატურას, მაგრამ ეს მაშინ ვერ მახერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო



ნიკოლოზ გარაბაშვილი

(1816—1916)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზე ღანვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღამემ მოჰბა



გურული სცენა

ო ხო, ხო, ხო! მე და ჩემა ღმერთმა ძალიანი გადავრჩი! ტრაბახობით არ ვიტყვი და ერთ ბიჭს კაძახობაში არ ჩამუუვარდები, ძამიავ კოდარავ! მე რომ საქმე შემხთა, იმისანაი შენ რომ შეგხთეს ცურცუმელში გამრობი და შენს ტყავს შენი პატრონი ვერ ნახავს. მივალ, ძამიავ, ტყეში, მარა რა ტყეში თუ იცი, ტყულაი რომაა ლუსკუმა ტყეი იყო, ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანდა. მივალ და მივალ, ვგლეჯ ეკალს, ბარდს, ნაგრს, ხრამს, ვიფიქრე, ერთ კას რჯღიან ველს გავაგორებ და თელ მეზობლებს გავახსნილიგე მეთქი. იქით ვიარე, აქეთ ვიარე, არ დამიტიეპია მუურებელი არაფელი, მარა იმისაგან შენ მტერს არ უშონია, ელიზბარამ ვეფერი ვერ იშონა ამასობაში დაღამდა, იმისანაი დაღამდა, იმისანაი, რომე თვალში თითს ვერ იკრავდი. მინდოდა საცხა დაწოლა მარა, რაცხამ დეიღრინა უცნაურათ და ამ ტყეში შლიპინ გლეჯინი მიადობია. რას ვიზამდი, გავჩერდი თოფი ფეხზე შევაყენე, ვიფიქრე, ამა შენ და ამა მე, რაცხა კაძახი ხარ, მობძანდი და სიგძეს სიგანეთ მოგიქცევ მეთქი; არ გასულა დიდი ხანი, რაცხამ ეიწია და ზედ გულზე დამებდღვნა. მივარე ხელი, ბანლიანი იყო, გადავსწყვიტე, ნამდვილ ქაჯი არის მეთქი. რუარც იყო გუუშში ხელიდან, გუუსტი უკან, წამუუჩოქე, ვესროლე თოფი, მარა ამიზა ბანდალი არ უქნია; ვერ მუასარი თოფის გატენა, გამუარდა და კიდომ დამებდღვნა; არიქა, ელიზბარავ, თუ ვარგხარ კაძახობა ახლა გინდა მეთქი; ვებდღვენი რაც ძალი და ღონე მქონდა. მეცა, ვიცი, მეძგერა, ვეძგერე, მიკპინა, ვუკპინე, დამარტა, დავარტეი, უქენი მოგორდეი, დამაქდა გულზე, მუაწია ასასრული და აგია შენი ელიზბარაი უნდა წივეყლონქე, მარა მომაგონდა დანა, ქარქაშში მქონდა, მუასარი ხელის შონა, ვიშიშლე დანა, წავამწარე ჭამა, ვშლიქე მუცელში, გუუდნიო მე მუცელი, ვეეო, დეიყვირა და დაგორდა ეიწყაზე.

თურმე ქაჯი კი არა [illegible] ბა რუა გონია, ძამია, კოდარავ!

ბუჯაუტი.

ს. კატარა გუგი

(კოოპერატივ „ნუგეშის მტრებს)

მე ჯაშუში ვარ, ჯაშუში,
ბაიგეო კარგათ ყურშია,
თქვენ კი არ, თვის ძმს კვეიდა
ამ დამზს ოქროს ფულშია“...

ხალხში გაგონილი*)

ჩარჩები „დანოსს“ უწერენ,
რომ ანუგეშონ „ნუგეში“,
ერთი ქუთაისს გაგზავნეს,
გამოცვეთილი სუდებში.
უნდათ გაიგონ: „დანოსმა“
თუ მიაღწია საწადელს
და თუ არ, ხელში მზათ არის,
იქნებ ბედი აქეს ახლანდელს...
გახსოვდეთ ხალხო ამაგი,
ნაცვალი გადაუხადეთ,
კოოპერატივ „ნუგეში“
სავაპროთ თქვენ გაიხადეთ.
იქნებ ეაპრებმა ზოგ-ზოგი,
განგვე აეფოს ფართალი,
ან სხვა რამ, გასაყიდელი,
რომ აგიბნიონ გზა-კვალი
მაგრამ არ ენდოთ და ისევ
სჯობს მიაშუროთ თქვენს დუქანს
და თქვენი ოფლით შეძენილს
ვაპარს ნუ მისცემთ, იმ მსუნაგს.

სატანა.

*) რედაქციის აზრით ეს ლექსი ნეტარხსენებული სოდომონის კალმს უნდა ეკუთნოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძალადევის ,,გმირები‘‘

(პატარა სცენა)

(სცენა წარმოადგენს ,,სასად ლოს‘‘. შიგ დგას ორი მაგიდა, სკამები და დაზგა რომელზედაც აწყვია ლიმონათის ბოთლები.)

ვარლამა. (სასადილოს პატრონი) წინათ, როცა ,,პადვალი‘‘ მქონდა, ჩამევიდოდა ათი-თერთმეტი კაცი, დეიდგამდენ ერთ ჩარექა ღვინოს, მასთან ზაკუსკათ უნდა მიმეტანა ტარხუნა, პეტრუშკა, ზილიონი ხახვი, ყველი, მშრალი ხორცი, დილიდან საღამომდის ური-ურის ძახინით ყურებს ზუზუნი გაქონდა. დეილოცა ომის მომგონი! ქე მიაკეტეს ჩემი პადვალი. თქვენ გონიათ რამე წავაგე თუ?! არ შეგჭამოს ჭირმა! გევიდა ერთი კვირე და ჩემ პადვალს გოუკეთე ,,სტალავოის‘‘ ვივესკა.

გავგზანი ბიჭს, იმერეთში ჩამუატანიებ ერთ ფუთ ღვინოს... მოვნათლავ ჩემებურათ და გამევიყვან ათ ფუთს. შემუა მუშთარი დაავგდებს ათ შაურს დახლზე. . დაუსხამ ერთ სტაქანს და მეიყუდებს თუ-არა, არიქა მიშველე, პრისთავი მოდის თქვა დოუძახებ, მიატოვებს ნახევარ დოულეველს და აბა-ჰააა, მოკურცხლავს... (შორიდან ისმის სიმღერა, ალავერდის ხმაზე).

ვარლამა. (ფანჯარაში იყურება) აი მოდიან ჩვენი ნახალოვკის ოხრები! გავკეთდი კაცი! რაც დაშხამული ღვინუები მაქ ყველას დვაინოვათ გავასაღებ... (შემოდის კოლკა პეტკა და საშკა. ცოტა შეზარხოშებული არიან.)

საშკა. ეი, ხოხონიკა, კარგი ღვინო გაქვს?

ვარლამა ჩემი შალიკო ნუ მომიკვტება ერთი ბოთლი მაქვს, ნასტაიაჩი, ყურძნის წვენია.

საშკა. მოიტა.

ვარლამა. (გადის და შემოაქვს ბოთლით ღვინო, შედის დახლში; რაც ძალა და ღონე აქვს ბოთლს ანჟღრევს. (თავისთვის) ეს პატრონ მკვტარი წამალი ყველა ძირს არ ჩაქნესილა?!

საშკა. ეი, ხოხონიკა! ველარ აკურთხე ამდენ ხანს? მოიტა რაღა.

ვარლ.მა. ახლავე, ახლავე, ბატონო. ცოტა მორიდებულათ დალიეთ თუ ღმერთი გწამთ, ხომ იცით სტალავოა.

კოლკა. ისემც ღმერთი გაგხეთქავს რაც ეს სტალავო იყოს.

პეტკა. როგორც სინდისიანი კაცი ნუ დაგვიმალავ, სულ რამდენი ბოჭკა ღვინო და ოტკა იქნება ამ შენ სტალავოში?

საშკა. (იცინის) ფხხხხუ...

პეტკა. ხვთის ცეცხლი! რა იყო?

საშკა. შე ოხერო, მაგან სინდისი ქუჩაში მიმავალი რო დაინახოს გული შეუწუხდება და შენ მაგის თავში ეძებ?!.

ვარლამა (გაჯავრებით) რას მოუშვით კაცო წისქვილი და ლაყლაყოფთ?! დალიეთ ჩქარა და მოშორდით.

კოლკა. რას გაფხუკიანდი, შე კაი კაცო, ჩვენი ხუმრობა არ იცი?

ვ რლამა. (დამშვიდებული) რავა არ ვიცი, კაცო, მარა თქვენ ლაპარაკს მოუნდებით მაგ ღვინოს დეინახავს ჩემი მეზობლები ამელამ მეობისკეებით გამივსებენ სტალავოს. ხომ იცით რავა მემტერებიან.

საშკა. რაო? გემტერებიან?! მერე აქამდის ვერ გვეტყოდი შე კაი კაცო? ხომ იცი ჩემი ამბავი: ისე აურ-დავურიო ოჯახი, როგორც ნახალოვკის ტრიატი.

კოლკა. შენ ერთი ლოთიანათ გამოგვბრუეე და მერე ჩვენ ვიცით. ხომ იცი მთელი ნახალოვკის ქალები დღეში ორას მეტანიას აკეთებენ, რა არი, კოლკა მოკვდეს, რო თავისუფლათ ქუჩაში გავიაროთო. თუ არ გჯერა წადი უჩასტკაში შაიხედე, ისეა გავსებული ჩემი მომჩივანი ქალებით, რო გეგონება პურის გამოცხობას უცდიანო.

პეტკა შენ მალარიჩი ჩამოდი და მერე მე ვიცი: ისე გავასუფთაო მათი დუქნები, რომ მშიერი თაგვების ცრემლი მუხლამდის იდგეს.

საშკა. (წამოდგება) ვა, ჩემი სიყმე მოკვდეს, თუ შენი მტრები აი ამ ღვინოსეეფ არ გადავყლაპო. (გადაჰკრავს ღვინოს და ამხანაგებს)... წავიდეთ, გმირებო-ჯან, ვარლამას მტრების დასამჟავებლათ. (წასვლას აპირებენ).

ვარლამა. რო მიდიხართ, კაცო, ნახარჯს არ მაძლევთ?

ხაშკა. (გაკვირვებით) რა ნახარჯი?

ვარლამა. რა ნახარჯი და რო სვით და ჭამეთ... იმე?!

კოლკა. შე დედალო ვირის თავო, შენი გულისთვის მთელი ნახალოვკა უნდა დავანგრიოთ და შენ სამ მანეთს არ იმეტებ?!

ვარლამა. თქვენ ბიძია სიცხე თუ გაქვთ, თავზე ყინული დეიდვეთ!

ხაშკა. (გაჯავრებული) დედლურათ კი არა, ვაქკაცურათ სთქვი, რა გინდა?

ვარლამა. (ძალიან გაჯავრებული) რას იბერები ყვაკეპესავით, რას? შენი მეშინია თუ? მეიტა ფული.

ხაშკა. აი შენი ფული (გაარტყამს და ვარლამა წაიქცევა, ჰეტკა ზედ დაალაგებს სკამებს და მაგიდებს).

ვარლამა. (ყვირის) მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი! (შემოვარდება მეზოგე და გამწარებული უსტვენს. კოლკა წაავლებს კისერში ხელს და ვარლამაზე დალაგებულ მაგიდებს წააქცევს: ხაშკა შემოიხსნის ქამარს და ორივეს ფეხებით მაგიდის ფეხებზე მიაკრავს).

ჰეტკა. (კარებში) ვითომ შეყვარებულები ხართ, მაგრა ჩაეხუტეთ ერთი-მეორეს! (საჩქაროთ გავლენ).

ძ—ჭია.



მოკითხვა

ძვირფასო სანეტარო—(მაპატივე) მაშხურებელო!*) მივიღე შენი უკანასკნელი წერილი, რომლის შინაარსმა პირდაპირ მომხიბლა. მართალია, ძლიერ მაკვირვებდა ორი უწინდელი წერილებიც, მარა ამან ხომ ნახული და გაგონილი დამავიწყა. „საკუთარი ავტომობილი, სამი მოწყალე დიდ (სხვადასხვა ნაციის) თავისუფალი დრო, ფული—ბრეტელეთ, ღვინო და არაყი თავზე სასხამთ, მოსამსახურეები“. თუ მართალია ყველა ეს, სოციალიზმში უეე ამოგიყვია თავი და აგია. „ორი თვე დელეტიანში ვიყავი და ახლა დელანში ვარო“ იწერები. მიკვირს, კაცო, რა სიშორეზე წასულხართ, მარა უფრო იგი მიკვირს ორი თვე დელეეტინით როგორ იარე და ან რაფერ გასძელი. ფოთიდან სუფსამდე გიჭირდა დელეეანში ჯდომა, მარა სლუკბაა, რას იზამ. კაკო! დაჭრილი და ავათმყოფები სულ „პლენებიაო“, იწერები, აგი ძალიან მესიამოვნა—ჩვენები თუ აღარ ურევიან არც დაჭრილები და არც ავათმყოფები. კი მარა თუ მუდამ ბადებში სეირნობ საშახურებელს როღაის უკეთებ იმ პლენებს? თუ ღმერთმა ქნა და ასე შეუჭერებლათ იარეთ წინ წინ, გეოგრაფია არ ვიცი, მარა დელმანიდან სტამბოლამდე დიდი მანძილი აღარ იქნება და ბინაზეც ახლო იქნები ზღვით, თუ ზღვით არა გწყენს. იყავი ყოჩაღათ და სახლში ნუ ჩქარი მოსვლას, რადგან აქ ავტომობილი კი არა კოლიე მეფიტონე კანეცს წინ-წინ თხოულობს და იცი რამდენს? ძველებურათ არ გეგონოს... ამა ქალები სამი კი არა ერთიც გვემადლება (შინაური) რადგან ქალები კაცების მაგიერობას ჩემობენ, სამსახურში დგებიან და სხვა.—გულზე გავიდენ „საზოგადოება“ დეიარსეს და თავი სუფრაკისტებათ მოაქვთ. მახმადიანები ამაში კი მომწონს, ერთი ქალის ამარა რა უნდა ქნას კაცმა? ვითომ ეს აზიური ველურობის ნაშთი არისო, მარა ახლა ლემენცებსაც რომ შამოუღიან ჯარი ცოლი და უქმარო ორსულობა, შენც გაიგებდი.

აქაური სხვა რა მოგწერო.

და ხალხი ისე მივა ომში თითქო სახლში აღარ ედგომებაო. ცოტა უხერხულობა აგია, რომ ბაბუაი პრაპორშიკ შვილი-შვილს დენშიკათ ემსახურება. სხვა ვინც დავრჩით უფრო ვაჭრები, მრეწველები და ბურჟუები, ყველა „სახელმწიფო თავდაცვის“ საქმეს ვემსახურებით, „ჯარს ზურგს უკან ვამაგრებთ“. ერთი სიტყვით დიდი და პატარა, ქალი და კაცი ომს ემსახურება, „ომი ბოლომდისო“, როგორც შენ ისე აგინიც გაიძახიან.

*) მაშხურებელი—დეზინფექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, აქ ჩვენში რომელი ხარაზი და მჭედელი გინდა, რომ თფილისში მეორე კლასით არ მიდიოდეს. ფულები, ქალალდის რასაკვირელია, ბჟირივით ყრია. მანათობით კაცი აღარ ანგარიშობს; ათასობით და ათი ათასობით.

ამდენი ფულები??! მარა მე მგონია ხალხი შეთხელდა, ფულები ბევრი მოსჭრა ხელმწიფემ და ამიზა თუ გამოჩთა ბევრათ, თვარა რავა არ გადირევი კაცი? ჩისტები ხომ იცი, ასიანებს აფრიალებს დასაშალათ. ფული? პური და შაქარი თქვი, თვარა ფული რეთიც გინდა იმდენია თუ მშვიდობით მოხვალ.

შენი **ბუტუნა.**

გურული ხაჭაპური

—

ოზურგეთი 12 ნოემბერს შესდგა „დიდი“ ბანკის წევრთა კრება. კრებას უნდა განეხილა ალმასხან კალანდაძეა მტყუანი გიორგი მულაძის ჯოხით შეხებაში, თუ გიორგია მტყუანი ალმასხანის კალმით შეხებაში. „სამშობლოს“ „მამულისშვილი“ გიორგი ალმასხანს ბრალს სდებდა, თითქოს მას ბანკში ბოროტმოქმედება ჩაედინოს. ბანკის წევრებმა მოისმინეს რა სარევიზიო კომისიის მოხსენება, თითქმის ერთხმად დაადგინეს, თანაგრძნობა გამოუცხადონ ალმასხანის ჯოხს და ჯოხი ბანკის ხარჯით განიბანოს აიაზმის წყლით. კრების 273 წევრიდან ამ დადგენილების წინააღმდეგნი იყვნენ: გიორგი „ბროლსკი“, ბეჟან „პლევაკო“ და დიომიდე „პურაძე“.

დიომიდე პურაძის განცხადება, რომ მას ბანკმა უზღოს ის ზარალი, რაც მას ბანკის მიზეზით „ნიზლევში“ დაეხარჯა, კრებამ განსახილველად საგანგებო კომისიას გადასცა.

ქრიპუჭი.

„მამულიშვილური“

მეცა მქონია
ბევრი ფულები
და მიჭამია
მოხრაკულები.
ძმა-ბიქებს ჩემგან
ჰქონიათ ლხენა;
კეკლუც ქალებთან
სმა და მოლხენა.
იმათ ტრფობაში
თავი მიხურდა,
დღეს აღარა მაქვს
მანეთის ხურდა!
ფულებთან ჩოხაც
კი გამიხუნდა,
გადმომაყარეს
თავს ქვა-და-გუნდა...
დავეხეტები
კამარ-კამარა,
ძველსა მეგობრებს
დავეძებ, მარა
ჭიქა ღვინოზე
არ დამპატიჟეს,
უფრთხილდებიან
უთუოდ ჯიბეს..

როკოკო

წერილი ნათლიმამისადმი

(მათე ტყლაპიჭამიაშვილს)

ძვირფასო მათე! წარსულ ორშაბათს შენის დავალებით გავემგზავრე სადგურ რიონის უფროს პავლე ამაღლობელზე და სამტრედიის უფროს ტელეგრაფისტ ნიკო ნინიძეზე გავრცელებულ „ჭორების“ შესამოწმებლათ.

რიონში ჩასვლისას დავნაყრდი თუ არა ერთ მეგობარს ვეწვიე, რომელმაც სამწუხაროთ არ ვიცი რატომ კარები გამომიხურა, სამაგიეროთ მეორემ სიამოვნებით მიმიღო და ჭორიკანა ხალხის ასალაგმავათ საჭირო საბუთებიც მომცა.—

პავლეო, დაიწყო მეგობარმა. სხვაზე უსინდისო არც ყოფილა და არც იქნებაო, მეო, განაგრძო მან, ბევრ სადგურის უფროსებს ვიცნობ, რომლებიც თითო მუშისაგან თვეში 10 და 15 მანეთს ღებულობენ ხოლო პავლე კი როგორც ქართველი კაცი 5 მანეთითაც კმაყოფილდებოდაო, ეს მაშინ, როდესაც რიონის მუშები მეტ ფულს შოულობენო.

რაც შეეხება იმას თითქოს მატარებლის მიერ გასრესილ მუშის ცოლშვილს მიცვალებული არ დაანება, სანამ ანგარიში არ გაუსწორაო, ეს პავლეს პირადი მტრების ავათმყოფი თავის ნაყოფიაო. პავლემ მხოლოდ განსვენებულის ამხანაგებს უთხრა: „მატარებელმა გასრისა თუ წყალში დაიხჩო ეს რა ჩემი საქმეა, მე ჩემი ანგარიში ჩამაბარეთო“ და მართალიცაა. რაში ეკითხება პავლეს, მუშა მატარებელმა გასრისა თუ მგლებმა შესჭამეს.?!!

„დამარწმუნეთ მე თქვენ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მევალეები ჩემს ცოლშვილს არასფერს გადაახდევინებენ და თუ ახლავე არ ვტუცო რიონში თავი გლახა დამიძახეთო“ გაათავა მეგობარმა და ძილი ნების მისურვა.—

დავწექი, მაგრამ დაძინება არ გინდა?!! შავ ფიქრთა ხროვამ თვალებზე ლული არ მომაკარა მარტო იმის მოგონებამ, რომ აქვე 7-8 ვერსტზე შანტაჟისტები თავისუფლათ ნავარდობენ, ბევრი რომ არ ვთქვა ერთი ხუთი წლით მაინც დამაახლოვა სიბერეს.

როგორც იყო მოვესწარი გათენებას, გამოვეთხოვე გულუხვ მასინძელს და სამტრედიაში მიმავალ მატარებელში ჩავჯექი.—

კოპიტნარში რომ გავჩერდით, ბაქანის ბოლოზე დავინახე ბ-ნი ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, სადგურ კოპიტნარის უფროსი, საერთოთ ქართველი ერის სასიქადულო და კერძოთ რკინის გზების სიამაყე ახალგაზრდა მგოსანი ვ. ბარამიძე.

მატარებელი დაიძრა: პატარა სადგურის დიდ უფროს და დიდ მგოსანს პატივისცემის ნიშნად ფანჯარიდგან ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნე და მალე სამტრედიაში ჩავედი.—

სამტრედიის რკ. გზის ხიდზე ილლიაში საზან ამოღებული მიმავალ ნაცნობ ტელეგრაფისტს შევეფეთე, რომელმაც ჩემ შეკითხვაზე შემდეგი მიპასუხა: ხომ გაგიგონიათ „შეშინებულმა ძაღლმა სამწელიწადს მთვარეს უყეფაოს?“ მართალია სამსახურში საზნით წასვლა უხერხულია მაგრამ რავქნა, სიცოცხლე დაზღვეული რომ მქონდეს მაშინ შეიძლება სამორიგეოთ საზნით არ მევლოვო.

ერთ ზამთრის ცივ ღამესო, განაგრძო ნაცნობმა, როდესაც ნ. ნინიძის „სმენა“ მორიგეობდა, ეკონომიის გამო ტელეგრაფი არ გაათბეს, მეტი სიცივით თითქმის ყველა მორიგე ტელეგრაფისტები ავათ გახდენ, დილას ზოგი წელს იტკენდა ზოგი გვერდებს და ზოგს კიდევ ახველებდა — ნიკოს *) და სხვა ტელეგრაფისტების დავალებით კ. პ-მა საჩივარი აღძრა სადგურის უფროსის წინააღმდეგ. როდესაც ჯერი საჩივარის დამოწმებაზე მიდგა, ნიკომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სადგურის უფროსის ყურადღების დამსახურება არჩია და ოფიციალურ ჩვენებაში ასე ჩასწერა: „ციოდა კი არა ცხელოდა კიდეცო. ნინდვილი პოეტური, გრიშაშვილის ღამე იყოვო და თუ პ-ლი მაინც ჩივის ეს მისი ფანტაზიაო“ ნიკოს ამგვარ ჩვენების მიცემის შემდეგ დანარჩენებიც შეშინდენ და მართალია ნიკოსთვის კვერი არ დაუკრავთ, მაგრამ პილატესავეთ კი დაიბანეს ხელი და ჩვენების მიცემიდან თავი შეიკავეს. ამის გამო პ-მა კარგი მოზრდილი საყვედურიც მიიღო.

მართალია, მათე ჩემო, ეს შემთხვევა კარგის მხრით ვერ ახასიათებს ნიკოს, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ ნიკოს კეთილ საიმედოობაში და ვფიქრობ შეიძლება ნიკოც ისე, როგორც ვასო კალაშნიკოვი და პავლე ამაღლობელი, ჭორიკანა ხალხის მსხვერპლი იყო!?!

სხვა, მათე ჩემო, მე თუ მიკითხავ მე ახლა არა მიშავს რა სურამის სტაიანკის ზედამხედველის სიტყვები გამართლდა. ციება სულის ამოსულაზე მიდგა და თუ რკინის გზის ადმინისტრაციამ დამრთონება, მგონია დიდ ხანს ცდა არ დამჭირდეს საამისო ნიშნები საკმოთაა.

ზენი ძ. მ ზ ვ ა ნ ე ყ ვ ა ვ ი ლ ე ლ ი.

ხოვნის ამბები

(ყურმოკრული მასლაათი)

— დარუხან, შენ არ გაგაცივა, რავა გაბრიალებული მოგულოობ, რაღამე ვერც ქე გიცანი ისე მოაკაანებდი ლეჩაკს.

— ამუაგდოს ღმერთმა! დარუხანს დღეს ლეჩაქებიზა არ ეცალოს, მარა რას იზამ რომ გადირია თელი ქვეყანა შე ვინ მომასვენებდა.

— რა მემეტუა შე ქალო ასე რომ იწყევლები.

— რა მემეტუა კარა ორი-ორის საკითხავი ამბავი სჭირს. ღმერთი ამუაგდებს ამ დროს! რას მეესტარი, ბეჩა, რავა არ დამცინებენ ნეტეი! იცი ჩემი კატოე რომ რაცხა ქალების კრუტოკის კლაში შეიდა! ის დასამიწებელი შარშან წინ მარიინსკიდან გამოხთნა, აწი დიდი ვარ და მეოთხეებში ჯდომა სირცხვილიაო. მართლაც და რაცხა ძაან გოუდიდა გული და თვმოება და მეც ქე დევეთანხმე. დავანებე თავი თვარა იმ წამსვე მაჭანკალი მაჭანკალზმ მორბოდა, მარა იმ დროში არც ერთი არ მეიწონა იმ შეჩვენებულმა თვარა, შენც ქეიცი, ჩემი თეკლე, ხარაზების და ასთე დაბალი ღრისების კაცზე მისაცემი რომ არ არის.

— იმე, ბეჩა, გადეირიე! გაქურჩნული ლეღევით ქალი გაკეს და რომელი ნასტავლი დეიწუნებს?

— დეიწუნებს კარა ვერ ხედავ რანაირი დროი დადგა? ნეტე მაშვინ გემეტანებია ვინცხაზე აწი სულა სად მეიძებნება, გონია ჯანდოე მეკურტნეც კი პახოთშია, თვარა სხვას ვის დ[illegible] ქალო, ის კარა და ქათმის დამკვლელი [illegible]!

— კი, მარა შენ მაინც არ გითქვამს რა კლაში შევიდა ახლა ამხელა ქალი?

— ღმერთმა რომ არ იცის მისი თავი. რაცხა საეშმაკოთ სხვების ჯინეიზაა თუ ჩვენი ქალების კრუტოკს გოუხსნია მადისკობის კლასი და იქინე მოუყრიენ თავი ვინც გუშინ წინ სამეფოს ეჩვენებოდენ გამობრინჯგულები.

— შე ქალო მაგისანე კლასები ქარ იყვენ, მაგენი არ კმაროდა?

— რა ვიცი, იმ დალოცვილებს ამ გაგანია სიძვირეში მოუნდენ ეს პროშვიკები-პრუშვიკების სტავლება და არ ვიცი ღმერთმანი ვისთვის უნდათ თუ ყველა გასათხუარი და გათხოვილები მადისკები გამოვლიენ- ქე იყო იმის კლასები და ვინცხას ნიჭი ქონდა იქედანაც კაი მაქარგავი გამოდიოდენ, მარა, ახლა იგენის ჯინიზა გაადენ გონია ეს კლასი და მეტი რომ ვერაფერი მეიგონა ამ ქალების კრუტოკმა, ახლა ყველა ბებერს და ახალგაზდა ქალებს წოუყარა თავი სამადისკოთ.

— შენც ხომ არ შესულხარ დარუხანა!

— დაწყეველოს ღმერთმა ვინცხა შევიდა ან იმან რა უნდა გამიკეთოს, მარა ვინ გინდა, იქინე რომ არ მისულა! ჩემსას რა უპირს კიდო ბაღნის სახე მაინც აქ—ილიტიეს ფაცეე, მაკრინეს ოლღაეე, მაკოს ნიფადორე...

— დედა ღმერთო! ნუ გამაგიჟე ქალო! იგენს რა უნდენ კლასში, რო გათხოვილიყვენ ახლა ექვსექვსი ბაღანე ეყოლებოდენ, ილიტიეს ფაცეე, ქალო, გათხოვილი არაა თვარა ჩემი ხნისაა...

— ჰო, და ასეა საქმე, იგი აკურთხენ დღეს და იმის კურთხევაზე დავრჩი ამდენ ხანს და საწყალი ჩემი ქმარი ჭალაშია ჩალის ჩამოსათრევად და მე კი კატოეიეს წყალობით ლეჩაქ გაბაირახებული დევეარები. მშვიდობით შენ გენაცვალე მშვიდობით...

დ ა ხ ბ რ ა კ ო ს ი ნ ა ლ ლ ა თ ი.

მიიღება ხელისმოწერა 1916 წლისათვის

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

ჟურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. —
6 თვით 3 მ. 50 კ.
3 თვით 1 მ. 80 კ.
1 თვით — 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящикъ № 96
(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1